ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემები და სუბიექტური აღქმები

გვანცა დავითაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი - ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა დავითაია

_____

05.06.2018.“

აბსტრაქტი

თანამედროვეობაში უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საკითხს პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს, რადგან მისი არამიზნობრივი გამოყენებით და გასაჯაროებით ინდივიდი შესაძლოა სხვადასხვაგვარად დაზარალდეს. მათ შორის, ზიანი მოიცავს, როგორც მატერიალურ, ასევე ეთიკურ მხარეს. მიუხედავად ამისა სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ მმართველობით სისტემას, რაც პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი გამოყენების საფრთხეებს ქმნის.

საკვლევი საკითხის რელევანტური დასკვნების გაკეთების მიზნით განხილული საკითხები იყოფა სამი დონის პრინციპით. პირველ რიგში ნაშრომი მოიცავს პოლიტიკის დონეს სამართლებრივი ჩარჩოს დისკურს ანალიზის საფუძველზე განხილულია საქართველოში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების სამართლებრივი ასპექტები და შედარებულია ევროკავშირის მიერ შემუშავებულ რეგულაციებსა და დირექტივებთან. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს მიმდინარე პოლიტიკის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების უკეთ ინტერპრეტირება.

საკვლევი საკითხის ერთ-ერთ ინტერესის საგანს წარმოადგენს პრაქტიკის ანალიზი. შესაბამისად, განხილულია სახელმწიფო ელექტრონული სერვისები, რომელთა ფუნქციას პერსონალური მონაცემების დამუშავება და ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. არსებული პრობლემის სიმწვავის უკეთ აღქმისთვის ნაშრომში განხილულია პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი გასაჯაროების ემპირიული მაგალითები, რაც კანონის აღსრულების პროცესის შესწავლის საშუალებას იძლევა.

იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი გასაჯაროება პირისთვის სხვადასხვა სახის ზიანის მიყენების წინაპირობას წარმოადგენს, ნაშრომი მოიცავს სუბიექტური აღქმებისა და დამოკიდებულებების ანალიზს.

დისკურს და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული სამართლებრივი რეგულაციები დახვეწას საჭიროებს, რათა არ მოდხეს პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი გასაჯაროება და პირის თვითპრეზენტაციის პროცესის დარღვევა.

ძირითადი ტერმინები: პერსონალური მონაცემები, სუბიექტი, ელექტრონული სერვისები, თვითნებური თვითგამოხატვა.

Abstract

Nowadays, one of the main issues of security is the protection of personal data. An individual can be damaged by its misuse and publicity. The damage includes both the material and the ethical aspects. Nevertheless, governments actively use the electronic management system, which creates threats of misuses of personal data.

This study illustrates three levels of data analyses. First of all, the paper comprises the level of policy, which is based on discourse analyses. Through the discussion of personal data security regulations in Georgia and The European Union, we can underline the positive and negative aspects of Georgia's current policy. An analysis of personal data disclosure empirical examples and state e-services, helps us to assess the ongoing processes in Georgia. In-depth interviews conducted during the survey gives us information about the perceptions and attitudes to the publicity of personal data.

Based on the discourse and interview analysis, we can conclude that the existing legal policy needs to be improved, which will reduce the disclosure of personal data and disrupt the ethics.

Keywords

Personal data, e-services, perceptions, disclosure,

მადლობა

ქეთევან გურჩიანს გაწეული დახმარებისთვის, მოწოდებული ლიტერატურისთვის და საჭირო რჩევებისთვის.

დარგის ექსპერტებს მოწოდებული ინფორმაციისთვის და დამატებითი კონსულტაციებისთვის.

ყველა რესპონდენტს საინტერესო ინტერვიუებისა და დათმობილი დროისთვის.